საქართველოს მეშვარეთა ბოლშევიკურ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღია დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34

№ 299

პარასკევი სექტემბრის 22 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 500 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

სრულიად საქართველოს ქართველ მსახიობთა კავშირი და რუსთველის თეატრის დირექცია აუწყებს საზოგადოებას, რომ ამა წლის სექტემბრის 19-ს, გარდაიცვალა სახელმწიფო დრამის მსახიობი

ნიკოლოზ ციციშვილი

დაკრძალვა მოხდება პარასკევს, სექტემბრის 22-ს, წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე. გამოსვენება ტფილისის საავადმყოფოდან დილის 10 საათზე.

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ ᲐᲣᲬᲧᲔᲑᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 19-Ს, ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

დაკრძალვა მოხდება პარასკევს, სექტემბრის 22-ს, წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე. გამოსვენება ტფილისის საავადმყოფოდან დილის 10 საათზე.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲮᲐᲠᲙᲘᲡ ᲩᲐᲛᲬᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

აუწყებს იმ პირებს, რომლებიც განთავისუფლებული არიან შრომის ხარკისაგან, რომ „ოკუპაციის ველად" შრომის ხარკისაგან განთავისუფლების შესახებ

ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲡ

და დოკუმენტებზე შენიშვნების აღნიშვნა რაიონულ კომისარიატებში

ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ 25 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

აღნიშნულ ვადის შემდეგ, არავითარი ბლანკები და მოწმობები არ იქნება მიღებული ამკრეფთა მიერ და პირები, რომლებსაც შერჩებათ ხელში კომისარიატებში რეგისტრაციაში გაუტარებელი მოწმობები შრომის ხარკისაგან განთავისუფლების შესახებ,

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲝᲜ ᲨᲣᲚᲐᲗᲘ, ᲠᲐᲡ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ ᲨᲔᲬᲘᲠᲘᲚᲘ

ყველა დაწესებულებებმა და პროფ-ორგანიზაციებმა უნდა დაამთავრონ მოწმობების გაცემა და 25 სექტემბრისათვის ამ წლისა ჩააბარონ კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ნასყიდაშვილს (შრომის კომისარიატი, რუსთაველის პროსპექტი, 19) ანგარიში გაცემულ ბლანკებისა, შესახებ და აგრეთვე ის ბლანკებიც, რომლებიც დარჩა მოუხმარებლად.

კომისიის თავმჯდომარე: თაქთაქიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი, კომისიის წევრი ა. რუხაძე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ჩვენში ეროვნულ საკითხს მეტადმწყვავე ხასიათი აქვს. ეს გარემოება სრულიად ადვილი ასახსნელი არის. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერი წარმოადგენდა ჩვენი მეზობელი დიდი სახელმწიფოების საექსპლოატაციო საგანს. ჩვენ ბედმა და უბედობამ ისეთს ტერიტორიულს ერთეულში მოგვაქცია და ისეთი დოვლათით აღგვჭურვა, რომ დიდ მპყრობელების ინტერესები რეალურად იქმნა ამით დაინტერესებული და მათ აგრესიული მიზნებისაგან დაცვა ძალიან დიდი ენერგიის დაცვას მოითხოვდა და დღესაც მოითხოვს საქართველოსაგან. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი ბუნებრივი მეზობლები დ უძლიერესი მტრის როლში გამოდიოდნენ ჩვენს მიმართ და ჩვენს ფიზიკურს განადგურებას ლამობდნენ. ამ პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ თითქმის ერთი მესამედი მთელი პოლიტიკური არსებობა და იგი თავის პროგენიად გადაქცია. რუსეთის ბატონობამ საქართველოში ერთს საუკუნეზე მეტი გასტანა და ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხი უდიდეს ეროვნულს შეურაცყოფას განიცდიდა. ჩრდილოეთის იმპერიალიზმის ქვეშ ჩვენ შევძელით წინად სამთავრეობად დაყოფილ საქართველოს მთლიანობის აღდგენა და გაერთიანება, მაგრამ ეს აქტი არ მომხდარა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ნიადაგზე. რუსეთის იმპერიალიზმმა მაგრად გაიდგა ფეხები მთელს ამიერ-კავკასიაში და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ჩაყლაპვასთან ერთად ენერგიულს გრძნობას აწარმოებდა აქ მოსახლე ერების კულტურულს გადაგვარებასა და ფიზიკურ გადაშენებისათვის. რუსეთის კულტურა მთელი თავი ი ძალიერით შემოიჭრა ჩვენში და ჩვენი ერების აშკარა დენაციონალიზაციის გზას დაადგა. ამ სასტიკი პოლიტიკის შედეგებს დღესაც მწვავედ ვგრძნობთ და მრავალი ხნის განმავლობაში შეუძლებელი იქნება ეროვნული საქმიანობის მიმართ ნიადაგზე დაყენება, იმდენად დაშალა და დაავადა რუსულმა იმპერიალიზმმა ჩვენი ეროვნული ისტეული.

მთელი ჩვენი ეროვნული კულტურა გაბზარული და დაბინძურული არის უცხო ძალების აგრესიული პოლიტიკის წყალობით: სამუსლიმანო საქართველო საშინელ ტკივილებს განიცდის ისტორიული ღასამართლობის ჯამი და დღესაც მისთვის ვერ მოგვინახავს შესაფერისი წამალი იქ ეროვნული კულტურის ასაყვავებლად, დანარჩენი საქართველო კი დამაბინძვნული არის ძველი რუსეთ კატორული პოლიტიკისაგან და მისი გამომრთველება შეუძლებელი ხდება პოლიტიკური ზომებით. ეს არის ფაქტი, ისტორიულ უკეთურობის მიერ შექმნილი უბედურება ჩვენი ერისა, რომელიც დიდ-ბრალმასა და მიზანშეწონილი ღონისძიების შემუშავებას თხოულობს საწამლად.

როგორც შორეულს წარსულში, ისე რუსეთის ბატონობის დროსაც ქართველი ხალხის უწმინდესს მიზანსა და უმთავრესს საბრძოლველ საგანს შეადგენდა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა და მთლიანობის აღდგენა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ეს უწმიდესი ბრძოლა ჩვენი ხალხის მრავალი მ ხვერპლის გაღებანითხოვდა ჩვენგან, რადგან ჩვენი დამოუკიდებლობა ფეხქვეშ იყო გათელილი და ჩვენი მთლიანობა სასტიკად იყო დარღვეული. ეს პროგრამა ქართველი ხალხისა, არც ერთს მომენტს არ შეიცავდა ისეთს, რომ ვისიმე წინააღმდეგ ყოფილიყოს მ.მართული და სხვისი ეროვნული უფლებები შეელახა. დამონებული ერი იბრძოდა თავისი უფლებებისათვის, თავისი სახელმწიფოებრივობის აღდგენისათვის, ნაციონალური კულტურის დასაცავად და ეს საბრძოლველი საგნები მარად იქნებიან მიმძღვავებული სტიმულები ჩვენი წარმატების საქმეში.

ეროვნული კულტურის წარმატება და მისთვის შესაფერისი პირობების შექმნა შეუძლებელი არის, თუ ერს არ აქვს სათანადო ორგანოები თავისი ნაციონალური ცხოვრების მოწესრიგებისა. აგრეთვე ერს ეკონომიური აღორძინება და სამეურნეო ცხოვრების გაჯანსაღება მარად დაუმთავრებელ კრიზისში იქნება, თუ ერის მთელი სამეურნეო არტერიები მის ხელში არ იქმნა მოთავსებული და მთელი მისი ძალა და ენერგია არ მოხმარდა ერის ეკონომიური აღორძინების საქმეს. ყოველი ეს კი თხოულობს ეროვნული ცხოვრების შესაფერისი პოლიტიკური ორგანოებით აღჭურვას, ნამდვილი ეროვნული სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნას. ეროვნული ორგანიზმი თანამედროვე პირობებში მოითხოვს სახელმწიფოებრივი ორგანოებით შეკვრას, მისი სხეულის პოლიტიკური აპარატით მოწესრიგებას. იქ, სადაც ეს მომენტი დარღვეულია და ერს არა აქვს პოლიტიკური აპარატი თავის ხელში, ეროვნული საქმე დიდს შევიწროებას განიცდის და მისი საშინაო ცხოვრება ჩამორჩენილი და შეფერხებულია.

ამიტომ ცხოვრების ლოგიკამ და ისტორიულმა სამართლიანობის მოთხოვნილებამ ასეთი ერების მორიგ ამოცანად წამოაყენა მოთხოვნა პოლიტიკური ძალაუფლებისა, სახელმწიფოებრივი ფუნქციებით აღჭურვა. დღეს დაჩაგრულ ერთა ბრძოლის მთავარი მომენტები მოიცავს მსოფლიოში ამ პრობლემით ხასიათდება და მსოფლიო იმპერიალიზმის ბატონობას ამით უდიდესი საფრთხე მოელის.

ქართველი ხალხი მრავალი წლების განმავლობაში იბრძოდა ასეთი უფლებების მოპოვებისათვის ტ უცხო მყველდელი ძალის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ რეალურად გაუნაღდა ჩვენს ხალხს ეს მისწრაფებანი და რუსული ცენტრალიზმის და იმპერიალიზმის დარღვევით სახელმწიფოებრივი უფლებებით აღჭურვა ჩვენი ერი.

ეს აქტი არ მოხდარა უბრალო ხელის დაკვრით და არც შემთხვევითი ძალთა განწყობილების „შედეგია" იგი. ამისათვის მრავალი ენერგია და ხარჯა და მრავალი კომბინაციები შეიქმნა საჭირო.

ალ ანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენას დაუცხრომლად ებრძოდა ჩვენში გაბატონებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე მიმდინარეობა; როგორც მენშევიკები, ისე ბოლშევიკები საქართველოს სუვერენობის აღდგენაში ხედავდნენ საერთაშორისო პროლეტარიატის ღალატსა და ცენტრალიზმის ფარგლებში ფიქრობდნენ საქართველოს საკითხის გადაწყვეტას. მათს პროგრამიდან ამოშლილი იყო ჩვენი ერის სახელმწიფოებრივობის აღდგენა და მისი პოლიტიკური სუვერენობის უზრუნველყოფა. მაგრამ ისტორიის ლოდიკამ ორივე მარქსისტულ მიმდინარეობას კიაკარი მოაცალინა და საქართველოს ეროვნული უფლებების პოლიტიკურს ფორმებში ჩამოყალიბებაზე ცხოვრებამ უმთავრესად ამ ორი პარტიის ხელებით და მოდვაწეობით მოსდომა. მართალია ამ დამოუკიდებლობის „ცხოვრებაში გატარება" როგორც მენშევიკების პერიოდში, ისე დღესაც ვერ ხდება თავისი შესაფერისი მნიშვნელობით და რამოდენიმედ დამაბინძვნებულ ელემენტებს, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რომ საქართველოს თავისუფლების მოწინააღმდეგე პარტიები, დღეს ამ თავისუფლების განმტკიცებას აყენებენ მორიგ საკითხად. ეს არის მათი ძველი პოლიტიკური ხაზის სასტიკი დამარცხება. მენშევიკებისა და ბოლშევიკების ძველი პოლიტიკის დამარცხებით მოიგო საქართველოს უფლებამ და მისმა წარმომტარებლის საქმემ.

დღეს ქართველი ხალხი იფრიდიუდად ადიარებულია როგორც სუვერენული უფლების მატარებელი ერი, ამ უფლების დაცვა და შენახვა ვსაპროგრამა. დღეანდელი მოვლენა და პოლიტიკური დამოკიდებულება საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ისეთი პერიოდში შეყვიდა, სადაც ამ უფლებას შეკვეცა და ძალიერ დიდი შეზღუდვა მოელის. საქართველოს ხელიდან მისი სახელმწიფოებრივობის გამოცლა, თავის თავად ჩვენი ქვეყნის პროვინციად გადაქცევას უდრის... ამიერ-კავკასიის ერები ვერასოდეს ვერ შეურიგდებიან იმ აზრს, რომ ისინი კვლ ვ ვისიმე გუბერნიები გადაიქცნენ და მათი საქმეები გარედან მართონ. დაცვა სახელმწიფოებრივობისა აუცილებელ პირობას წარმოადგენს ჩვენი იდეებისათვის.

ეს უნდა დაიმახსოვრონ კარგად მათ, ვისაც ხელთ უპყრია ჩვენი ბედი და საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობა მათი სახელმწიფოებრივობის დაცვისა და პოლიტიკური სუვერენობის შენარჩუნებაზე ნიადაგზე უნდა აგონ.

ხ. დეკანი.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

ხელფასის საკითხი პოლ. ეკონომიის ერთი ძირითადი საკითხი. ეკონომიური ანარეკლების განვითარების გასწვრივ ხელფასის საკითხს დიდი ადგილი უჭირავს და ერთ ერთ ცენტრად პრობლემას წარმოადგენს.

თუ ალ. სმიტს კაპიტალის დაგროვება საკმაოდ მიაჩნია ხელფასის გადიდებისათვის და ამდენავე კაპიტალიზმის განვითარება მუშათა კლასის სასარგებლოდ წარმოუდგენია, შემდეგ ეკონომიურმა ცხოვრების ვითარებამ და თავისუფალმა კონკურენციამ კრიზისებისა და პაუპერიზმის წინაშე დააყენა ეკონომისტები. რიკარდომ და მალტუსმა სმიტის ლაღი ფანტაზიის მწუხრის ზეგარი გადაფარა და თუ პირველმა საარსებო მინიმუმით განსაზღვრა მუშის ხელფასი, მეორემ მოსახლეობის თეორიის ძალით იგი საკვებით ზეგებით შემოსა და გამოუალი მდგომარეობა დაუსახა მუშათა კლასს ხელფასის საკითხში და საერთოდ მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

როგორც სისმონდის, ისე უტოპიური სოციალიზმის მიმამთავრებისათვის ცხადი გახდა ის სოციალური ბრძოლები, რომელიც წარმოშვა თავისუფალმა კონკურენციამ. პაუპერიზმი და კრიზისები სპეციალური მოვლენები შეიქნა, რომელმაც წარმოშვა სოციალური კონფლიქტები.

მუშათა ხელფასისა და საერთოდ მუშათა ცხოვრების გარდაქმნისათვის დღევანდ მრავალი თეორია შექმნილა. მიუხედავად ამისა, ამ საკითხის შესახებ ჯერაც ვერ შეთანხმებულან ეკონომისტები და როგორც პრაქტიკაში, აგრეთვე თეორიაში ადგილი აქვს სხვა და სხვაობას მუშათა ხელფასის გადაჭრის ირგვლივ.

ვ რც ოუენის ნიუ ჰარმონ .ბ, ვერც სენ-სიმონისტების საზოგადოებამ, ვერც ფურიეს ფალანტერმა, ვერც პრუდონის ბანკმა, ვერც ბასტიას „განსამრჯელის" თეორიამ და ვერც მარქსისტული სკოლის კანონებმა ვერ გადაჭრა ხელფასის საკითხი და დღესაც ეკონომისტთა შორის ბრძოლაა ამ პრობლემის გარშემო.

ჩვენ ამ მოკლე მიმოხილვით გვსურს განვიხილოთ ხელფასის საკითხი მშრომელთა დიქტატურასთან დაკავშირებით და გავარკვიოთ მუშათა ხელფასის პირობები ჩვენში და მისი პერსპექტივები.

მშრომელთა დიქტატურის დროს ხელფასის საკითხი განაკუთრებული ყურადღების და ინტერესების დირსია; ერთი შეხედვით ასეთი საკითხი არც უნდა იყოს დასმული, რამდენადაც ხელფასი, და არა მუშის შესანახი ხარჯი საერთოდ, ისტორიული კათეგორიაა, შექმნილი მუშის ენერგიით ექსპლოატაციის ნიადაგზე და ამიტომ ხელფასის საკითხი თავისთავად მოხსნილი უნდა იყოს იქ, სადაც თვ თ მუშათა კლასს უპყრია ხელთ სახოგადოებრივი ცხოვრების სადავე. ამ შემთხვევაში მუშა უნდა იდგეს არა ხელფასს, რომელიც გულისხმობს სუშის მიერ შექმნილი დირებულების ნაწილს და არა მის მერ შექმნილ მთელ დირებულებას, არამედ იგი უნდა იდგეს სავსებით თავისი შრომის პროდუქტ წარმოების ხარჯების გამოკლებით.

სინამდვილეში კი ამას ვერ ვხედავთ. არა თუ ახლა ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ, არამედ მანამდეც მუშათა მდგომარეობა, მიუხედავად საბჭოთა ქვეყნების ხელისუფალთა დიდი ცდისა, სანუგეშო სურათს არ წარმოადგენდა.

მაშასადამე საჭიროა უფრო ახლა განვიხილოთ ხელფასის საკითხი და შევისწავლოთ ის ფაქტორები, რომელნიც განაპირობებენ ხელფასის სიდიდეს. შესაძლ ელია, მართლაც „ოკეანის კანონი" გახდეს ხელფასს, ლასალის სიტყვით რომ ვსთქვათ, და არავითარი იმედი არ არის მისი ისეთ პირობებში ჩაყენების, რომელშიც მოითხოვს მუშათა კლასის ინტერესები?

შესაძლებელია მართლაც მუშა იდგეს იმის, რაც მან უნდა აიღოს თავის საძენთო ძალაში, როგორც საქონელში და მარქსის განვების თანახმად ეს არის კაპიტალისტური მეურნეობის აუცილებელი საიდუმლოება?

როგორც აღვნიშნეთ ხელფასის შესახებ მრავალი თეორია წარმოიშვა. თუ ერთი მხრით ტიურგო, მალტუსი, რიკარდო, ლასალი და ბარტი იცავდენ მუშის ჩვეულებრივი ცხოვრების დონის თეორიას, რომელიც მდგომარეობს სამეურნეო ენერგიის ასანაზღაურებლად საჭირო საარსებო მინიმუმში, მეორე მხრით დე. სტ. მილი და ნაწილობრივად ხვიტიც ფონდის თეორიას ადგა, რომელიც ხელფასისათვის გადადებულ

კაპიტალის დაყოფას მუშათა რიცხვზე სთვლიდა ხელფასის სიდიდის გამსაზღვრელად. როგორც ვიცით დე. სტ. ბილმა თვით უარყო შემდეგში ფონდის თეორია და ამით სანიკვდილო მახვილი ჩასცა მან ამ თეორიას საზოგადოდ.

თუ ვიზელი წარმოებით თეორიას გვაძლევს და სგას მუშის მიერ შექმნილი პროდუქტი დაუდგოს ხელფასს საფუძვლად, კლარკი ცდილობს გაამართლოს ექსპლოატაცია და „უკანასკნელი მუშის“ ხელფას აყენებს ხელფასის გამსაზღვრელად.

რუსი მეცნიერი ტუგან-ბარანოვსკი გვაძლევს ეგ. წოდ. სოციალურ თეორიას, რომელიც სდგას გარეშე კლასთა ბრძოლის მიჩქმალვის სურვილისა და რომელიც აუცილებლად მისაღებ თეორიად უნდა ჩაითვალოს. ამ თეორიის სისაღეს მოწმობს როგორც პროფკავშირთა ისტორია, ისე ეკონომიური ცხოვრების ევოლიუცია, ხელფასის სიდიდის რყევა სხვა და სხვა ქვეყნებში.

ჩვენ არ შევჩერდებით ყველა თეორიების შესახებ, რომელიც მეტად შორს წაგვიყვანდა, ვიტყვით მხოლოდ მოკლედ მარქსისტულ გაგებას ხელფასისას, რადგან ჩვენში ამ გაგებას შესაძლებელია კიდევ ყავდეს დამცველი, ხოლო დანარჩენები დღეს შეიძლება უკვე ყველასგან უარყოფილად ჩაითვალოს.

როგორ ესმოდა მარქს ხელფასის საკითხი? რას წარმოადგენდა მისთვის საბუშაო ძალა?

თანახმად ფასეულობის შრომის თეორიისა, პროდუქტები წარმოადგენენ ადამიანის შრომის კრისტალიზაციას ე. ი. შრომა არის ფასეულობის ერთად ერთი სუბსტანცია. საბუშაო ძალა არის იგივე საქონელი, როგორც ყოველი სხვა და მაშასადამე მის ფასსაც შეადგენს ის შრომა, რომელიც საჭიროა მისი წარმოშობისათვის, ეს კი თავისი მხრით გამოიხატება საარსებო მინიმუმში.

წარმოების პროცესში მუშა, როდესაც ინახლაურებს მის საარსებო მინიმუმს იქ თავდება მისი ხელფასიც, ხოლო შემდეგი მუშაობა წარმოადგენს ტყვილა, უსასყიდლოდ, მუშაობას კაპიტალის სასარგებლოდ. ამ რიგად ის ეწყვეტ ზედმეტ შრომას, თავის ხელფასის ანახლაურების შედეგს და ქმნის ზედმეტ ფასეულობას, რომელსაც ითვისებს კაპიტალისტი. მაშასადამე კაპიტალისტისათვის ერთად ერთი წყარო მოგებისა არის ცვალებადი კაპიტალიდან, რომელიც ბიდის მუშის ხელფასის დასაფარავად და არა ძარითადი კაპიტალიდან, რომელიც მხოლოდ ამორტიზაციის თანახმარ ღირებულებას წარმოშობს.

მაშასადამე, მუშა იღებს იმას, რაც მან უნდა მიიღოს თანახმად მარქსის ფასეულობის თეორიისა, ე. ი. იგი იღებს მისი შრომის აღსადგენად საჭირო მიხმარებულ ყიდულობს საგანს ისე, რაც ის თავის თავად ღირს და კაპიტალისტი კი იღებს უზომოდ შემოსავალს, მოგებას. ეს მდგომარეობა „აკინებს“ კაპიტალისტსო,—გვეუბნება მარქსი.

კაპიტალისტურ მეურნეობაში მუშის ხელფასი, მარქსის გაგებით, „რკინის კანონს“ ემორჩილება. თუმცა ეს ლასალის თერმინი მას არასოდეს არ უხმარია. მაგრამ თერმინს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. შინაარსით კი მარქსის ხელფასი თეორია „რკინის კანონის“ თეორიაა.

თუ ასეთია მარილაც ხელფასის სიდიდის პირობები, მაშინ ცხადია აზრი ეკარგება პროფესიონალურ მოძრაობას, მუშათა კავშირებს, რადგან ისინი ვერ შესცვლიან და ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებენ ხელფასის სიდიდის გაზრდაზედ.

მუშათა ორგანიზაციების ისტორია კით სხვას გვეუბნება. ილიუსტრაციისათვის საკმარ, ტრადიციონალიზმის მოგონება, რომ ამ დებულებამ დაკარგოს თავისი მნიშვნელობა.

საქმე იმაშია, რომ საბუშაო ძალა არ არის ისეთი საქონელი, როგორც დანარჩენი სხვა. თუ საქონელზედ ფასის დამყარება არ მოითხოვს მყიდველის და გამყიდველის სოციალურ უთანასწორობას, ხელფასი სწორედ ანარეკლია სოციალური უთანასწორობის და ამდენათვე იგი განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება.

მუშა ჰყიდის თავის საბუშაო ძალას, რადგან მას არ შეუძლია იგი არ გაყიდოს, ხოლო კაპიტალისტი ყიდულობს მას, რადგან მას საჭიროება აქვს მისი გამოყენების. მუშას არ შეუძლია გახდეს კაპიტალისტი, ხოლო კაპიტალისტიც არ გახდება მუშა, რადგან საამისო მოტივი მისთვის არ არსებობს.

როგორ მყარდება ხელფასის სიდიდე?

ხელფასის სიდიდეს განსაზღვრავს არა საარსებო მინიმუმი, როგორც ეს ეგონა მარქს და სხვებსაც, არამედ ერთი მხრით შრომის ნაყოფიერება, ხოლო მეორე მხრით მუშათა კლასის სოციალური ძალა.

წარმოების აგენტთა თანამშრომლობა ქმნის საზოგადოებრივ შემოსავალს, პროდუქტებს. საზოგადოებრივი შემოსავლის განაწილებისათვის იწყება ბრძოლა წარმოების აგენტებს მეპატრონეთა შორის. კაპიტალისტი, მიწის მფლობელი, მუშა იბრძვიან საზოგადოებრივ შემოსავლის მითვისებისათვის, ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვისი სოციალური ძალა ძლიერია. თუ ორგანიზაციული შრომა დაუპირისპირდა უორგანიზაციო კაპიტალს,—მოიგებს შრომა იმწევა ხელფასის სიდიდე, თუ ორგანიზაციული კაპიტალი დაუპირისპირდა უორგანიზაციო შრომას—გამარჯვებს კაპიტალი, დაიწევა მუშის ხელფასი.

ამით ახსნება, რომ, სადაც მუშათა კლასი ძლიერია თავის ორგანიზაციით, მას შეუძლია კაპიტალთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს.

ძველ რუსეთში არც შრომის ნაყოფიერება იყო დიდი და არც მუშათა სოციალური ძალა და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რუსის მუშა „ჩაი და კაშას“ მეტს ვერ ეღირსებოდა თავის სიცოცხლეში. ინგლისში კი, სადაც მეტი იყო შრომის ნაყოფიერებაც და მუშათა კლასის სოციალური ძალაც, ხელფასიც შედარებით დიდი იყოს და კომფორტულ ცხოვრებას ეწეოდა მუშები.

მაშასადამე ხელფასის ფაქტორებად უნდა იქნეს მიღებული შრომის ნაყოფიერება და მუშათა კლასის სოციალური ძალა.

ამ განმარტების შემდეგ ჩვენთვის ადვილი ასახსნელი ხდება, საბჭოთა რესპუბლიკებში ხელფასის მდგომარეობა. საბჭოთა ქვეყნებში მუშათა ხელშია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საადგილ და მაშასადამე სოციალურად იგი გაბატონებულია. მიუხედავად ამისა, ფიზიოლოგიური მინიმუმიო კი ვერ დაგვიკმაყოფილებია და ლუკმა პური გამხდარა ჩვენი ბრძოლის საგნად.

რატომ არის ეს ასე?

იმიტომ, რომ შრომის ნაყოფიერება დაეცა, რომ წარმოების პროდუქტიულობა შემცირდა.

არა ერთსა და ორ მუშასთან გვქონია საუბარი ხელფასის შესახებ და არა ერთი და ორი მუშა გვინახავს სამართლიანად აღშფოთებული, რომ ვერ იკმაყოფილებს იგი თავის საარსებო მოთხოვნილებებს.

მაგრამ როგორადაც არ უნდა გავწყმაღდეთ და პროტესტები არ ადმოხდეს ჩვენს პირს, ხელფასი არ გადიდდება, თუ შრომის ნაყოფიერება არ გადიდდა. მოგვეცით დიდი ხელფასი, რომ ვამბობთ, ის არ უნდა გვაკვიწყდებოდეს, რომ არ შეიძლება მისი მოცემა, რაც არ არსებობს, ნომინალური ხელფასის გადიდება და მიღებულებითაც ტომრების გატენა, ერთი წუთითაც არ გვიხსნის და არ გადიდებს რეალურ ხელფასს, რადგანაც ძალ ქმნის არა ფულის ნიშნების სიმრავლე და სიუხვე, არამედ შრომის ნაყოფიერებით საზოგადოებრივი შემოსავლის გადიდება, მოსახმარი პროდუქტების სიმრავლე.

ამისათვის კი საჭიროა შრომის ნაყოფიერების წესიერ კალაპოტში ჩაყენება.

საბჭოთა რესპუბლიკებში სოციალური ძალა მუშათა კლასის ხელშია და მაშასადამე ზედმეტია ლაპარაკი იმას შესახებ, რომ საზოგადოებრივი შემოსავლის განაწილებაში იგი დაბარცხდება. მას აქ ვერავის ვერ შეედავება, ხოლო უმთავრეს საზრუნავ საგანს წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდება, რაც ერთად ერთი გზაა მშრომელთა დიქტატურის დროს ხელფასის გადიდებისათვის.

ასეთია პრინციპიალი თვალსაზრისი, მაგრამ საკითხვია—როგორ სახეს ღებულობს ხელფასის საკითხი პრაქტიკაში? არის თუ არა დაცული საკუთარ მუშათა კლასის ინტერესი?

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი მუშური სახელმწიფო, ლენინის თქმის არ იყოს, დაავადებულია ბიუროკრატიული სენით.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზედ საინტერესოა ის გარემოება, თუ როგორ ნაწილდება მუშათა შორის ხელფასი და არსებულიმატერიალ-რესურსები არის თუ არა რაციონალად გამოყენებული?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მხრით ადგილი აქვს დიდ დეფექტებს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ, ხელფასის მიხედვით მუშათა წრეებში გაჩნია დიდი სხვაობის იერარქია და იმ დროს, როდესაც ერთი მუშა ფიზიოლოგიურ მინიმუმს მოკლებულია მეორე, კი, ეგ. წოდ. „სპეცი“ თუ „პასუხისმგებელი მოხელე“, რომელნიც მეტად მრავლდებიან, განსაკუთრებით უკანასკნელნი, თითქმის ამ ჭრელ კრიტიკულ მომენტში, ფუფუნების საგნებსაც წვდებიან ხოლმე.

ჩვენ ვიღებთ იმ დებულებას, რომ არ შეიძლება დღეს ყველას მოთხოვნილებისამებრ მოეწყოს, ეს სოციალიზმის დროსაც შეუძლებელი იქნება, მაგრამ ყველას შრომის მიხედვითაც ვერ მიუწყავთ აბსოლიუტურად, რადგან ეს მოგვცემდა ახალ ბურჟუაზიას.

ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენში არსებული მატერიალ რესურსებიც არ არის განაწილებული ისე, რომ მან მოგვცეს შრომის ნაყოფიერების აღდგენა. ხელფასის საკითხში ადგილი აქვს სერიოზულ დეფექტებს. რომლის შესახებ დაწვრილებით შემდეგ წერილში ვისაუბრეთ.

სერგ. ამაღლობელი.

ქურნალ—გაზეთებიდან

ახალი რეკორდი ავიაციაში.

ავიატორები სულ ახალ-ახალ რეკორდებს ახდენენ ფრენის სისწრაფეში.

გასულ წლის ენკენისთვის 21 ფრანგმა მფრინავმა, სადი ლეკუანტმა, მიიღწია 330 კილომეტრს და 275 მეტრს საათში. ეს უკანასკნელი რეკორდი იყო ოფიციალურად ჩაწერილი. შემდეგ თვითონ სადი-ლეკუანტმა უფრო გაადიდა ფრენის სისწრაფე, მაგრამ ეს ოფიციალურად არ გაუზომიათ.

ა. წ. აგვისტოს 26-ს მიაღწიეს სისწრაფის ახალ რეკორდს ტურინში (იტალია). „ფიატი“-ის ფირმის მფრინავმა, ბრიკანანამ „ფიატის“ სისტემის აპარატზე და „ფიატისავე“ მოტორით 700 ძალიანი, გაიარა საათში 336 კილომეტრი და 468 მეტრი. ეს რეკორდი აღიარებულია საერთაშორისოფიზიკურ ფედერაციის მიერ და საინტერესოა ინფორმაცია, რომ მიღწეულია „ფიატის“ სისტემის აპარატზე, რომელიც წარმოადგენს ჩვეულებრივი ბიპლანის კონსტრუქციას.

ამ რეკორდით იტალიამ წაართვა საფრანგეთს საქვეყნო რეკორდი, რომელიც პირველის ხელში იყო 1909 წლიდან. პირველი რეკორდი, რომელიც დააწესა ამერიკელმა გლენ კურტისმა 1909 წლის აგვისტოს 23-ს უდრიდა 88 კილომეტრს საათში. ამის შემდეგ პირველობა გადადის ფრანგების ხელში და იმარჯვებენ: ბლერიო, ლატამი, მორანი, ნიუპორი, ალფრედ ლებბლანი, ჟიულ ვედრინი და მორის პრევო. შემდეგ ავიაციის სისწრაფე აკეთებს დიდ ნახტომს და თანდათან მატულობს.

უჩინარი ჰაეროპლანი.

ამერიკაში გამოიგონეს ძლიერი ჰაეროპლანი, რომლის კორპუსი და მოტორი ისეა დაფარული, რომ მთელი აპარატი წარმოადგენს გაშლილ ფრთას. ცდებმა დაამტკიცა, რომ ასეთ აპარატს, შეეძლებილს ნეიტრალ ფერით, შეუძლია იფრინოს წყლის ზედაპირის ახლოს და გემიდან უჩინარი იქნება.

ზარბაზნიანი ჰაეროპლანი.

შეერთებულ ამერიკაში სამდიუმიანი ზარბაზნით შეიარაღებული აპირატები უკვე მოქმედებენ და ეხლა ცდას აწარმოებენ ხუთ-დიუმიანი ზარბაზნებით შეიარაღებულ ჰაეროპლანებზე. ძუძმივი ორტილერიის გარდა, თვითმფრინავებზე აწყობენ ბომბებს, სიძძიმით თითქმის 120 ფუთამდე, საშინელ გამანადგურებელ ძალით აღჭურვილს.

ოსმალეთ საბერძნეთის ომი

ბოლგარია და რუმინია ეთანხმებიან საფრანგეთს.

ჰანოვერი 20 სექტ. ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობების თანახმად ბელგრადის და ბუქარესტის მთავრობა მზარს უჭერს ახლო-აღმოსავლეთის საკითხი საფრანგეთის თვალსაზრისს, ე. ი. ეწინააღმდეგებიან ოსმალეთის წინააღმდეგ საძიებელი ლონის ძიებათა ხმარებასა.

ელექტროფიკაციის საკითხისათვის

ახ ეტაპ ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში წამოჭრილი არის მეტად დიდი და მნიშვნელოვანი საკითხი—ელექტროფიკაციის გატარებისა ჩვენში. ეს საკითხი უკვე პრაქტიკულ სფეროში არის გადატანილი და მუშაობაც დაწყებული არის მისი ცხოვრებაში გასატარებლად. როგორც ცენტრში, ისე პროვინციაშიც მეტად დიდი ყურადღება მიექცა ამ საკითხისადმი. საკითხი ჩვენი ეკონომიური ყოფა ცხოვრებისა და როგორც ვხედავ,—მნიშვნელოვანი ნაიჯებიც იქნა გადადგმული მის დადებითად გადაჭრისათვის.

ელექტროფიკაციის საჭიროება იმდენად ეჭვგარ დებულების შეადგენს კულტურულ მსოფლიოსთვის,—რომ მასზე უკვე ადარ დაობენ; აქ საკითხი სდგას მხოლოდ მის პრაქტიკულ განხორციელებაზე, წესებსა და საშუალებებზე. ჩვენში ადგილობრივი პირობები და ბუნებრივ გარემო ეს ეტაპ ამ საკითხის ირგლი და საუკეთესო ფორმებში განხორციელებისათვის. ეს პირობები ჩამარხული არიან ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეში: ჩვენი მდინარეების კალაპოტების მეტად დიდი დაღმართი (уклон) და მათი წყლის შემცველობა არის ის ფუძე, რომელზეც უნდა აშენდეს ჰიდრო-ელექტრონული ენერგიის საშუალებით ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმე.

თანამედროვე წარმოების გიგანტიურმა განვითარებამ აიძულა კაცობრიობა ეძია ახალ-ახალი წყაროები ენერგიისა, რომელნიც ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოყენებულნი. ამ ბუნებამ ჩვენ მიგვიყვანა ელექტრული ენერგიის—წყლის ძალებისგან მიღებამდი, რომელიც დღეს ისე ფართოდ არის გამოყენებული.

წყლის ძალების გამოყენება კაცობრიობის მიერ არა ახალი; ჯერ კიდევ ძველად. ქრ. დაბ. წინ, წყალი გამოყენებული იყო როგორც წისქვილების ასაბუშავებლად, ისე სხვა და სხვა მანქანების მოძრაობაში მოსაყვანად; მაგრამ წყლის ენერგიის ფართო და სოციალური გამოყენება შესაძლებელი გახდა ხოლოდ ჩვენს დროში. გასული საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით,—გახშირდა ჰიდრო-ელექტრული ენერგიის შექმნელება, ხოლო მას შემდეგ, რაც 1868 წ. გრენობლის ინჟენერმა ბუარემ ამ ახალ ენერგიას „თეორი ნახშირი“ უწოდა (წინადადებიდან მინერალური სითბობი მასალის შავი ფერისა),—ის საყოველთაოდ ცნობილი შეიქმნა, თეთრი ნახშირის გამოყენება მეტად სწრაფი ნაბიჯით განვითარდა და თუ 1904 წ. მთელ ესოფლიოში შავი ნახშირი იძლეოდა 5 მილ. ცხენის ძალას, თეთრი ნახშირი, რომლის უმცირესი პროცენტი იქნა მხოლოდ გამოყენებული, უკვე 1.500.000 ცხენის ძალას წარმოადგენდა. ეს ახალი წყარო ენერგიისა მით უფრო სახეირო და გამოსადეგი შეიქნა, რომ შედარებით ის დაუშრეტელი აღმოჩნდა. შესაძლებლობა, რასაკვირველია. იძლევა იმის მოლოდინს, რომ შორეულ მომავალში გაქრებიან ის ყინულები, რომელიც მდინარეებს და ჩანჩქერებს ასაზრდოებენ; მაგრამ ამ მოვლენის საწინააღმდეგოთ, რომელიც ოდნავი განვითარებით იქნება მხოლოდ შესაჩნევი,—წყლის გაშენება გამოგვადგება, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას შეუქმნის მდინარეების დაშრობასა და წყლის ნაკლებობას. ამ ზომებს უკვე მიმართეს შვეიცარიაში, სადაც 1902 წ. ტყეების გაშენებისათვის დახარჯულ იქნა 3 მილ. ფრანკი.

ამრიგად, ახლა ადმოჩნდა, მთავალისეთ ქვეყანა, რომელთაც შავი ნახშირი არა ერონდათ, ან მცირე გაჩნდათ,—მისცა ფართო საშუალება თავის წარმოებისა და ეკონომიურ აღორძინების ამ ახალ საშუალებისათვის მიგმართოდ. ინგლისი, ბელგია და გერმანია, რომელნიც მდიდარი იყვნენ შავი ნახშირით, მოკლებული გახდნენ, ამ ახალი ენერგიის სიუხვეს. შვეიცარია, იტალია, სკანდინავიის ნახევარკუნძულის ქვეყნები და საფრანგეთი კი პირიქით,—სავსე იყვნენ ჩანჩქერებით და ისეთი მდინარეებით, რომელთა ძამოძრავებელი ძალად გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა. კანადა და ბრაზილია ხომ ამ მხრივ მეტად მდიდარი ადმოჩნდა და კალიფორნია კი ოქის წინ თეთრი ნახშირის გამოყენების საქმეში პირველ ადგილზე იყო ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში. თეთრი ნახშირის უტილიზაცია აქ დაიწყეს მეოთხმოცდაათე წლებიდან და ომის წინ კი მთელი მარაგის (2 მილ ცხ. ძალის) 45 პროც. უკვე გამოყენებულ იქნა; დაარსებული იყო 14 ჰიდროელექტრული სადგური, რომელიც სამხეთს უწევდა როგორც სამთო მრეწველობას, ისე სასოფლო მეურნეობას...

ყველაზე უფრო შესანიშნავი ჰიდროელექტრული სადგური მთელ ქვეყნიზე მოწყობილი არის სიაგარის წყალვარდნილზე, რომელიც შეიცავს 7 ნახევარი მილ. ცხ. ძალას და რომლის ენერგიის მხოლოდ ნაწილი არის გამოყენებული. ნიაგარის ჰიდრო-ელექტრული სადგური ენერგიას აწვდის არა მარტო მის ახლო მდებარე ქარხნებსა და სახელოსნოებს, არამედ რამოდენიმე ათეულ კილომეტრზე მდებარე ქალაქებსა და სოფლებს. ეს შესაძლებელი გახდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1891 წ. დამტკიცებულ იქნა ელექტრული ენერგიის ასეული კილომეტრზე გადაცემის შესაძლებლობა.

ამერიკის შემდეგ წყლის ბალის გამოყენებაში საფრანგეთი პირველი არის. უკანასკნელ ხანებში ფრანგები განსაკუთრებული ენერგიით შეუდგნენ ალპების თეთრი ნახშირის გამოყენებას.

მთელი ის სივრცე, რომელიც მოქცეულია ჟენევის ტბისა და ხმელთა შუა ზღვის შორის და სადაც წინათ მხოლოდ მგსაკონლეობას მისდევდნენ—სამრეწველო რაიონად გადაქცა. აქაური ჰიდრო-ელექტრული სადგურები იძლევიან უკვე ნახევარ მილიონზე მეტი ცხ ძალას. ასეთივე გზით მოხდა შვეიცარიაში რკინის გზების ელექტროფიკაცია, რომლის სიგრძე 140 კილ. შეიცავს. მეტად ფართოდ არის დაყენებული ჰიდროელექტრული სადგურების საქმე ეგრეთვე იტალიაში, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ ნაწილში ლომბარდიაში, სადაც საკუთარი მინერალური სითბობი მასალა არ მოიპოვება.

რუსეთში ჰიდრო-ელექტრული სადგურები ძალიან მცირე და უმნიშვნელო ძალების იყო რეკონსტრუქციამდე; ყველაზე დიდი სადგური მოწყობილი იყო თურქესტანში—მურგობის მამულში; მცირე ძალიანი სადგური იყო მოწყობილი ეგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც ენერგიას აწვდიდა პიატიგორსკს, ესენტუკს და სხ. ახლო მდებარე პუნქტებს. რუსეთში შესაფერი მდინარეებში და ჩანჩქერები საკმაოდ მოიპოვებოდა, მაგრამ მათი გამოყენებისათვის ნაკლებათ ზრუნავდენ. ჩვენც, საქართველოში ასეთ მდგომარეობაში ვიყავით ამ ხარივ და აქ-იქ უშედეგოთ პროექტები თუ მუშავდებოდა და შემდეგ დავთარხანაში გადადიოდა. ახლა კი, ჩვენში, სადაც საკუთარი სითბობი მასალა არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეტად მდარე ხარისხის ტყიანულის ქვანახშირს,—მეტად ფართო ასპარეზი არის თეთრი ნახშირის ენერგიის მისაღებათ და გამოსაყენებლათ. ეს არის ერთად ერთი გზა ჩვენში მრეწველობის აღორძინებისა განვითარებისათვის! ამიტომ ამ მხრივ უნდა იქნეს ძალული ჩვენი ეკონომიური და საფინანსო პოლიტიკის ყურადღება მიქცეული.

ჰიდროელექტრული ენერგიის მისაღებათ უმთავრესად ორი პირობაა საჭირო: ერთი ის, რომ მდინარეს ან ჩანჩქერს საკმარ წყლის რაოდენობა უნდა ექნეს და მეორე,—თუ რამდენად დაღმართზე იქნებიან ისინი დაწყებული. ორთავე პირობის დაცვით ჩვენში ძრავალი ისეთი მდინარე მოიპოვება, რომელიც გამოსადეგი იქნება თეთრი ნახშირის მისაღებათ. ყოველი მდინარე, რომელსაც კილომეტრის სიგრძეზე 6,5 მეტრი დაღმართი აქვს, გამოსადეგი ხდება. ჰიდრო-ელექტრული სადგურისათვის. მაშასადამე ამ ხარით ჩვენი მდინარეები მოითხოვნილებას აკმაყოფილებენ, რადგან მრავალი მათგანის დახარჯვა ამ რაოდენობასაც კი ალეძინებენ.

ჩვენში თეთრი ნახშირის მარაგის რაოდენობა 3 მილიონამდე ცხ. ძალას აღწევს; თუ ამ ენერგიას ადამიანის ფიზიკურ შრომაზე გადვიტანთ, მივიღებთ დაახლოებით 30 მილიონ მუშის შრომას, რომლის თუნდ 50 პროც. გამოყენება ჩვენს მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობაში წარმოუდგენელი პერსპექტივებს გადაგვიშლიდა. ჩვენს მრეწველობას გაუჩნდებოდა იაფი ელექტრონის ენერგია,—რითაც საფუძველი ჩაეყრებოდა ჩვენში ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა ადგილობრივ გადამუშავებას და მცირედთ ძალიც საზღვარი დაედებოდა ჩვენ მდიდარ სხეულიდან ნაგლი ძალების უსაზღვრო ექსპლოატაციას უცხოელების მიერ. იაფი ენერგიის გამო-

ნიდირის ლონდონში გამგზავრება.

ჰანოვერი 20 სექტ. პრემიერ მინისტრი ნიდირი გაემგზავრა პარიზიდან ლონდონში, რომ გააცნოს ინგლისის მთავრობას სერბიის თვალსაზრისი ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტის შესახებ.

იზმიდისაკენ.

ჰანოვერი 20 სექტ. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ოსმალეთის ჯარები იზმიდისაკენ მიიწევენ.

საბერძნეთის ნაციონალურ კრების დათხოვნა.

ჰანოვერი 20 სექტ. აფინიდან იტყობინებიან, რომ განზრახულია საბერძნეთის ნაციონალური კრების დათხოვნა და ახალი არჩევნების მოხდენა.

ინგლისის ავანტიურის წინააღმდეგ.

ნიუენი 20 სექტ. ლონდონში მიღებულია ცნობა პროვინციებში მომხდარ დემონსტრაციების შესახებ, რომელიც მიმართული იყო ინგლისის არმიის მიერ დარდანელთან ოპერაციებში მონაწილეობის მიღების წინააღმდეგ. ლონდონის მუნიციპალურ მოსამსახურეთა კავშირმა რომელშიაც შედის 25,000-მდე წევრი, გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც აცხადებს, რომ გააკეთებს ყველაფერს, რათა ხელი შეუშალოს ინგლისიდან გაგზავნას თუნდაც ერთი კაცის, ან იარაღის ახლო აღმოსავლეთის ომში მონაწილეობის მისაღებად, სთვლის რა, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება უმუშევრებზე დაიხარჯოს ის თანხა, რომელიც დასჭირდება ომის წარმოებას.

ოსმალეთის არმიის შეტევა.

ნიუენი 20 სექტ. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ოსმალები 8 დივიზია უტევს იზმიდს, მარმარილოს ზღვის სხვა და სხვა რაიონებში კი დატოვებულია დანარჩენი რეზერვი.

თათბირობენ.

ნიუენი 20 სექტ. ლორდ კერზონი გაემგზავრა პარიზში პუანკარესთან მოსალაპარაკებლად, რომელმაც გადასდო მარსელში კოლონიალურ გამოფენაზე გამგზავრება, ძეტად სერიოზულ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო.

ინგლისი და თანამოკავშირეები

პუანკარეს ინსტრუქცია.

ბორდო, 20 სექტემბერი. საფრანგეთის კაბინეთის სხდომაზე პუანკარემ გამოაქვეყნა ინსტრუქცია, რომელიც გაუგზავნა მოკავშირე სახელმწიფოებთან მყოფ საფრანგეთის წარმომადგენლებს, ახლო აღმოსავლეთის ამბების შესახებ. ინსტრუქცია ადასტურებს ყველა იმ პუნქტებს, რომელიც თავის დროზე იქნა შემუშავებული ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანობის უზრუნველყოფის პოლიტიკის საწარმოებლად. იმ ნაბიჯების შეფასებიდან, რომელიც გადასდგა საფრანგეთის რწმუნებულმა ლონდონის საქმეებში მონტილამ, ჩანს, რომ პარიზი ეთანხმება ლონდონს იმაში, რომ საჭიროა საბხედრო თვალსაზრისით დაცულ იქნას სუეცის თვისუფლება. წინააღმდეგობა ეჩინება მხოლოდ იმ საკითხში, თუ როგორი საშუალებით უნდა იქნეს მიღწეული ამ სუეცის თვისუფლება. საფრანგეთის მთავრობას ძალიან გაუნელდება მისდიოს ინგლისის მთავრობის საბხედრო მოქმედების პოლიტიკას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ საბერძნეთის არმიის გვერდით დადგები დხვნ საფრანგეთის ჯარები, ეს კი საფრანგეთის მთავრობას დაუვიწყებლად მიაჩნია.

საფრანგეთის ყოფილ ელჩის ეერარის განცხადება.

ბორდო, 20 სექტემბერი. იაპონიაში მყოფმა საფრანგეთის ყოფილმა ელჩმა ეერარმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა შეუთანხმდა საფრანგეთის მთავრობას ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანობის აღდგენის შესახებ. ეერარმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის ჯარებს არავითარი შემთხვევაში არ შეუძლიათ იმყოფონ საბერძნეთის ჯარების გვერდით და განაცხადა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა მიიღო ცნობა. საფრანგეთის და ოსმალეთის ჯარების შორის კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, საფრანგეთმა გასცა ბრძანება გაყვანილ იქნეს საფრანგეთის ბათალიონები ნეიტრალურ ზონის სხვა და სხვა პუნქტებიდან.

კონსტანტინოპოლიხაკენ.

ბორდო, 20 სექტემბერი. კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან, რომ 19 სექტემბერს ოსმალეთის ცხენოსანის დივიზიის პირველი რაზმები შევიდნენ ნეიტრალურ ზონაში.

იტალია და ახლო აღმოსავლეთის საკითხი.

ბორდო, 20 სექტემბერი. გაზ. „ტემპში" გამოქვეყნებულმა ინგლისის ნოტამ, დარდანელში სამხედრო ოპერაციების წარმოების შესახებ, მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. გაზ. „ტრიბუნას" ოფიციალურ წყაროში აღნიშნულია, რომ იტალია მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას, თუ ახლო აღმოსავლეთის გადათვლება გავრცელდება ევროპის ტერიტორიაზე, თუმცა იტალიელ გადაწყვეტილ საულელტეხილოდ. გზების პროექტების განხორციელების დაწყება და ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირება, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ყოველ ხრივ.

ხარჯები ჰიდრო-ელექტრული სადგურების ასაშენებლად ჩვენში, შეიძლება ორ ნაწილად გაყოთ:) ხარჯები გამოკვლევისა და შესწავლისათვის, რომელიც წინასწარ უნდა მოხდეს და ბ) ხარჯები სადგურის ასაშენებლად, არხების და დამბების გაკეთებაზ; ტურბინების შეძენა და დადგმა; საჭიროშენობების აგება და ენერგიის გადასაცემ ტენიკურ მოწყობილობის გამართვა. როგორც წესი, შეიძლება მივიღოთ, რომ წყლის მამოძრავებლების დადგმის ხარჯები არ აღემატება ჩვეულებრივი სათბობი მასალის მამოძრავებლების დადგმას. თუ კი მარტო წყლის მამოძრავებელი არ იქნება საკმარ, წყლის ცვალებადობის გამო (ზამთარ-ზაფხულში), მაშინ მისი ღირებულება უნდა შემცირებულ იქნეს და დადგმული დამატებითი სათბობი მასალის მამოძრავებელები (ასეთ შეერთების ენერგიისას ადგილი აქვს მაგ., დეპარტამენტ დუ—ში, საფრ.)

ამ რიგად, თეთრი ნახშირის მიღება და ჰიდრო-ელექტრონული სადგურების აშენება და მოწყობა ჩვენში დღიური საჭირ-ბოროტო საკითხი არის. ასეთ არის დამოკიდებული როგორც ჩვენი უსახო მრეწველობის, ისე ჯერ კიდევ მამა-პაპური ტრადიციის მატარებელი სასოფლო-მეურნეობის აღორძინება. ამ დიდი კულტურული და ეკონომიური ხასიათის მუშაობას ფართო ბაგმით ენ. და შეუდგეს თვით სახელმწიფო. არამც და არამც არ უნდა იქნეს დაშვებული განკერძოებული მუშაობა, უსისტემო საქმიანობა. ეს საქმე,—ფართო სახელ-

ბულ იქნეს კონსტანტინოპოლში ინსტრუქტორ რუსეთის ლტოლვილთა საქმეებს უმაღლესი კომისარიატი ბერძენ ლტოლვილთათვის დახმარების აღმოსაჩენად ერთა ლიგამ ჯადგინა მიღებულ იქნეს ნანსენის წინადადება და გადასწყვიტა წინადადება მისცეს ლიგას საჭიროდ გაანიხილოს საკითხი შეუძლია თუ არა ლიგას გასცეს კომისარიატის და ნანსენის განკარგულებაში თანხა, რომელიც საჭიროა საბოლო ზომების მისაღებად.

ქემალ-ფაშას პასუხი

ნიუენი. 20 სექტ. გაზ. „პტი-პარიზენის" ცნობით ქემალ-ფაშა მოკავშირეთა ნოტის საპასუხოდ აცხადებს, რომ ის არ იცნობს სვევრის ხელშეკრულებას, რომლის თანახმად დაწესებულია დარდანელში ნეიტრალური ზონა. ქემალ-ფაშა აგრედვე აცხადებს, რომ საბერძნეთთან დროებითი ზავის ჩამოგდებამდე ომი გაგრძელდება.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲐᲜᲢᲐ

გაგენშტეინის დაბრუნების გამო

ნიუენი. 20 სექტ გაგენშტეინმა ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ დაუუნველა ცნობა გერმანიის კაბინეთს თავის მოგზაურობის შესახებ კაბინეთმა მიიღო საახელმწიფო ბანკის წინადადება ბელგიისათვის მისაცემ ბონების ხელმოწერის შესახებ და მიანდო ბრიუსელში მყოფ გერმანიის წარმომადგენელს ლანდსბერგს აცნობოს ამის შესახებ ბელგიის მთავრობას.

ბრიტანეთის მთავრობის ნოტის გამო.

მოსკოვი. 20 სექ. ინგლისის მთელი პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს იმ მდგომარეობის უკიდურეს სიმთუნეს, რომელიც გამოიწვია ინგლისის მთავრობის დეკლარაციამ. მთავრობის პრესა ენერგიულად უქერს მხარს დეკლარაციას და (გამოფენილია) მაგრამ, თუ ქემალი შეეცდება სუეცის დაკავებას, მაშინ ინგლისი მოკავშირეებთან ერთად და აგრეთვე, მათ გარეშეც გადადგომგბა მას გზაზე. მთავრობის პრესა აღნიშნავს იმ შესაძლებლობასაც, რომ კონსტანტინეპოლი გადაეცემა ოსმალეთს.

მეორეს ხრივ გაზ. „ტაიმსი" „დეილი მაილი" და „პეკილი ტელეგრაფი" საუბრობენ ინგლისის ინტერესებზე. ინგლისი ინტერესებზე. ინგლისი ინტერესებზე. ინგლისი

კმაყოფილებას გავენშტეინის მოგზაურობის შედეგით, „ფორვერტსი“ სწერს, რომ საფრანგეთის ცდამ ათქმევინოს ბელგიას ეარი გერმანიის წინადადებაზე, უნაყოფოდ ჩაიარაო. მაშინ დროებით მაინც გერმანია თავს დააღწევს საკონტრიბუციო საკითხის მუქარას და ამ ხნის განმავლობაში შესაძლებელია მოხდეს გადასინჯვა საკონტრიბუციო პრობლემების. „ფრეიხაიტი“ ამტკიცებს, რომ საკონტრიბუციო საკითხების გადასინჯვა არის მორიგი ამოცანა გერმანიისათვის. „გერმანია“ გამოსთქვამს იმედს, რომ გერმანია და ბელგიის შორის მალე მოხდება შეთანხმება საკონტრიბუციო საკითხში.

საფრანგეთი და გერმანია.

ნაუენი. 20 სექტ. პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ბერლინში სწარმოებს მოლაპარაკება განადგურებულ ოლქების აღსადგენად, მასალების მიწოდების წესზე და დროზე.

მოლაპარაკება ამერიკის და ინგლისის მაღაროების მუშების შორის.

ნაუენი. 20 სექტ. ამერიკის მაღაროების მუშათა კავშირები აწარმოებს მოლაპარაკებას ინგლისის მაღაროების მუშებთან შეთანხმებაზე, რომლის ძალით ამერიკელ მუშების გაფიცვის დროს, ინგლისიდან ამერიკაში არ უნდა იქნას გაშვებული ნახშირის არც ერთი ფუთი.

ოსმალეთის გამარჯვების გამოძახილი.

ჰანნოვერი. 20 სექტ. რეიტერის სააგენტო იუწყება: ოსმალეთის გამარჯვების გამო ხომბეიაში მომხდარ ზეიმის შესახებ გაიმართა დიდი დემონსტრაციები ოსმალეთის დროშებით და ქემალ-ფაშის სურათით.

რომი. 20 სექტ. იტალიის პრესა იუწყება, რომ ხომბეის პოლიტიკურ წრეებში წინააღმდეგი არიან, რომ ინგლისმა გაგზავნოს სამხედრო ნაწილები დარდანელთან ოპერაციებისათვის.

პუანკარე და კერზონის თათბირის გამო.

რომი. 20 სექტ. ლორდ კერზონის პუანკარესთან თათბირის დროს დაესწრება გრაფი სფორცა.

ახალი ამბები

— **ბრძოლა ფილოქსერასთან.** მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატში მუშავდება პროექტი კახეთში ამერიკული ვაზის გაშენებისა, რომელიც არ ზიანდება ფილოქსერით.

— **საბავშვო სახლი „კამო“.** ტფ. ქალაქის აღმასკომმა დაადგინა გახსნას საბავშვო სახლი № 9 კამოს სახელობაზე. შემოწირულება მიიღება ქალაქის აღმასკომში.

— **რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწ. ბანკი ამიერ-კავკასიაში.** ბანკის კანტორის გამგეთ დანიშნულია ბანკის მოღვაწე ი. კაპლანი. ერევნის კანტორის გამგეთ დანიშნულია გ. ჯამსტიანი.

— **სათესი მატერიალის გაუმჯობესება.** მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის მიერ მიღებულია ზომები სათესი მატერიალის გაუქმების შესახებ.

მცხოვრებთა აღწერა. რესპუბლიკის ქალაქთა აღწერა დაიწყება ოქტომბრის დამლევს. ტფილისი დაყოფილია აღწერისათვის 52 საკანტროლო რაიონად. შედგენილია სპეციალური გეგმები აღწერის გასატარებლად.

— **ბათომის ნავთსადგური.** ბათომის ნავთსადგურში მოვიდა იტალიის გემი „დორა“ ამერიკის „კონეჯო“ და ინგლისის „სკეტში—მოჯტელ“

— **ფოთის ნავთსადგური.** უკანასკნელ დღეებში ფოთის ნავთსადგურში შემოვიდა რუსეთის გემები საქონლით „ფელიქს ჯორჯიანსკი“ და „ჰარისტანი“.

სამხატვრო ქრონიკა

ლიტერატურული სადამო. კვირას, 24 სექტემბერს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში, ს-დ საქართველოს მწერალთა კავშირი მართავს ლიტერატურულ სადამოს. შემდეგი შინაარსით: სიტყვები: ლეო ქიაჩელი, „რომე როლანის ჟან კრისტოფი“ კონსტ. გამსახურდია: „სტეფან გეორგე“. ლექსები: კ. მაყაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ფაშალიშვილი, ობოლი მუშა, ტერენტი გრანელი, მარიჯან: მინიატიურები: ვასილ ბერნოვი, ია ეკალაძე, დემნა შენგელაია, მახ. ბოჭორიშვილი.

მსახიობი ნ. ციციშვილი

დღეს ტფილისში ასაფლავებენ ულროვოდ გარდაცვლილ, ქართული სცენის მსახიობს ნიკოლოზ ციციშვილს.

განსვენებული ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზდა დაეწაფა ხელოვნების სამსახურს და ჩვენი ცნობილ და დაუვიწყარ მსახიობ გ. არადელიშხნელთან ერთად ადესის დრამატიულ კურსებზე მიიღეს სპეციალური სასცენო განათ ება.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე შედის იგი ქართულ სცენაზე ვ. შალიკაშვილის, ვლ. ალექსი-მესხიშვილის და ვალ. გუნიას ხელმძღვანელობით და უკანასკნელ დღემდე მას ვხედავთ ერთ-ერთ საუკეთესო თავდადებულ მუშაკად ქართულ თეატრში, სადაც იგი ყოველთვის ითვლებოდა სხვათაშორის ერთი საუკეთესო აღმასრულებლად ტეტია-გლეხების როლებისა. წარსულ სეზონში (ქართული დრამა) ალ. ახმეტელის რეჟისორობით დადგმულ პიესა „ბერდო-ზმანიაში“ ხომ განსვენებულმა საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია შურის როლის აღსრულებით, რომლისთვისაც მას განსაკუთრებით ახოვანი მაღალ-ტანიანობა და ხმა არა ჩვეულებრივად უწყობდა ხელს.

კერძოდ ცხოვრებაში განსვენებული ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევდა თავის ამხანაგებთა და მეგობართა შორის თავისივე ზრდილი და უწყინარის ხასიათით.

თითქმის თხუთხმეტი წელიწადი ემსახურა მ. ნ ქართულ სცენას პირნათლად და მისი სახელი ყოველთვის კეთილ მოსაგონარი დარჩება ყველა ჩვენი თეატრის მეგობართა და განსაკუთრებით მისი მოღვაწეთა შორის.

საუკუნო ხსენება პატიოსანი კაკო!..

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება.

ს. ს. ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატისა.

რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლის ფულის გადახდევინების შესახებ.

იცავს რა შეუფარავად და სავსებით რესპუბლიკის ყველა სალეგიურების სკოლებში სწავლა-აღზრის წარმოების იდეას, როგორც თავის ერთ-ერთს ძირითად მოვალეობათაგანს, საქართველოს სახალხო კომისარიატთა საბჭო, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მიერ მ ოდგენილ ზემოაღნიშნულ პრინციპებისა, ამ ეტაპად შექმნილ მდგომარეობის გამო, როცა გამოწვეულია რესპუბლიკის მწვავე ეკონომიურ და მეტად მძიმე ფინანსიურ შეუძლებლობით ძალუნებურად დროებით ხანის უტოვებს თავს პრინციპს და ადგენს შემდეგს:

1) რესპუბლიკის ყველა უმაღლეს და საშუალო (ტექნიკუმებსა და კურსით მათთანაბარ სასწავლებლებში) სახელმწიფო სასწავლებლებში მომავალ 1922—23 სამოსწავლო წლიდან შემოღებულ იქმნას სწავლის ფული გადახდა: უმაღლეს სასწავლებლებთათვის 2.500.000 მან. (ნახევარი წლის 1.250.000 მან.) ხოლო საშუალო სასწავლებლებისათვის 1.500.000 მან. (ნახევარი წლის 750.000 მან). წლიურად.

2) სწავლის ფული უნდა გადახდილ იქმნას ნახევარ წლობით: პირველი ნახევარი წლის 15 ნოემბრამდე, ხოლო მეორე 15 მარტამდე. სასწავლებლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით შეიძლება ნახევარი წლის გადახდა გაიყოს ორ ნაწილად, მაგრამ ესეთი ანგარიშით კი, რომ ეს ნახევარი წლის გადასახადი უთუოდ მთლად შეტანილ იქმნეს ზემოაღნიშნულ ვადამდის.

3) სწავლის ფულის გადახდისაგან თავისუფლდებიან: ა) პროფკავშირების წევრ მუშათა შვილები, რომელთა მშობლები ჯამაგირს იღებენ არა უმეტეს 40 მან. ოქტომბრის თვეში, ბ) წითელარმიელთა, გ) საბჭოთა მოსამსახურეების შვილები, რომელთა მშობლების ჯამაგირები არ აღემატება ტარიფით მე-10 (მეათე) კათეგორიას, უკანასკნელი კათეგორიის ჩათვლით, დ) ყველა ტიპის და საფეხურის სკოლების მასწავლებელთა შვილები, ე) სოფლის მკვიდრთა შვილები, რომელთა მშობლების უკიდურეს სიღარიბეს დაადასტურებს ადგილობრივი სამაზრო აღმასკომი და აღძრავს სათანადო შუამდგომლობას ამა თუ იმ სასწავლებლის წინაშე. ვ) ყოფილ მასწავლებელთა შვილები, რომელთა მშობლებს უმსახურიათ არა ნაკლებ 15 წლისა, ხოლო ამ ვადამდე არა აქვთ სამსახური ამასთანავე ეს უკანასკნელი უდგენენ სასწავლებელს სიღარიბის მოწმობას.

შენიშვნა: იმ მოწაფეთა მშობლები, რომელთა ჯამაგირის ტარიფი მეათე (10) კატეგორიაზე უმაღლესია, ხოლო ზრდილნი სასწავლებლებში ორ, სამ და მეტ ბავშვს, აგრეთვე თავისუფლდებიან სწავლის ფულის გადასახადისაგან: 1) პირველ შვილისაგან (თუ სწავლობს 2) ერთი, მეორეში (თუ სწავლობს) 3—2 და სხვა.

4) ყველა მე-3 მუხლში ჩამოთვლილი პირები მიმართავენ თავის დროზედ სათანადო სასწავლებლებს განსაკუთრებული განცხადებით. სწავლის ფულის გადახდევინებისაგან განთავისუფლების შესახებ განცხადებასთან დაერთვის სათანადო მოწმობები, რომელთა საშუალებითაც დადასტურებულ იქმნება მოხოვნელის უფლება გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ.

5) განცხადებები განხილული იქნება გამგეობის სხდომაზე (უმაღლეს სასწავლებლის) და პედაგოგიური საბჭოებში (საშუალო სასწავლებლებში) მოწაფეთა წარმოდგენილების თანდასწრებით ბჭობის დროს მხედველობაში მიიღება წარმატების ხარისხი, როგორც თვით სწავლაში, აგრეთვე მოწაფეთა მოვალეობათა აღსრულებაში. გამგეობას და სპეციალურ საბჭოს, თანახმად წარმოდგენილ მოწმობების და მკაცრად შემოწმებულ ცნობებისა, უფლება აქვთ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, განთავისუფლოს სწავლის ფულის გადახდისაგან მე-3 მუხლში მოხსენებულ შემთხვევათა გარდა სხვებიც, მაგრამ იგი არ უნდა აღმაჭარბოდეს ყოველი კურსის და კლასის საერთო შემადგენლობის 5 პროც.

6) მოწაფენი, რომელნიც განთავისუფლებულნი არ იქნებიან სწავლის ფულის გადახდისაგან და რომელიც მეორე მუხლში აღნიშნულ ვადისათვის არ შეტანენ გადასახადს, დათხოვნილ იქნებიან სასწავლებლიდან, მაგრამ გადასახადს შემოტანის შემდეგ უკანვე მიიღებიან იმავე კლასში, იმ პირობით კი, რომ ჩაბარონ ყველა საგნებში კოლოკვიუმები, იმ შემთხვევაში, თუ მოწაფემ დათხოვნიდან ხელახლა მიიღებამდე გაატარა სასწავლებელ გარეთ ერთ თვეზე მეტი დრო.

7) სწავლის ფულის მიღების, შენახვის და დახარჯვის წესი სწარმოებს განსაკუთრებულ ინსტრუქციით, რომელსაც დაიმუშავებს და გამოსცემს სახელმძღვანელოდ განათლების კომისარიატი.

განათლების სახალხო კომისარი ლ. კანდელაკი

პროფ. განათლების მთავარმმართველობის გამგე ნ. მგელაძე.

საქმეთა მმართველობის გამგე ალ. მიკაბერიძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის

დადგენილების თანახმად ა. წ. სექტემბრის [illegible] **მოწვეულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური**

აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია,

შემდეგი დღიური წესრიგით:

1) მოხსენება ს—ს ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ. (მომხსენებელია ფ. მახარაძე).
2) პროექტი სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ. (მოხსენებელია შინ. საქმეთა სახ. კომის. ს. გეგეჭკორი).
3) მიწათმოწყობის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ. (მომხსენებელია მიწათმოქმედების სახ. კომ. ს. თოდრია).
4) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
5) პროექტი დებულებისა ადვოკატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
6) პროექტი დებულებისა პროკურატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
7) საერთო დებულება გადასახადთა სისტემის შესახებ. (მომხსენებელია ფინანსთა სახ. კომისარი).
8) მოხსენება სიმშილზე. (მომხსენებელიას ფ. მახარაძე).

რადგან განსახილველი საკითხები ფრიად საყურადღებოა, დასწრება ცაკის ყველა წევრებისათვის აუცილებელია.

ს—ს ცაკის პრეზიდიუმი.

ქალაქის აღმასკომი ამით აუწყებს ქალ. ტფილისის მოქალაქეებს,

რომ ყველა მოქალაქე **რომელთაც უყავთ ძაღლები,** ვალდებულნი არიან შეიტანონ ქალაქის აღმასკომის გადასახადთა ბიუროს სათანადო საგენტო კონტორებში 500,000 მან. თვითეულ ძაღლზედ და მიიღონ საჭირო მოწმობები. ამ თვის 30-დან დაიწყება ძაღლების ჭერა.

მისამართი	1 და 13	კომ. კანტორისა	ვერის დაღმართზე.
„	2 და 3 „	„	გრაფის ქ. № 14.
„	4 და 5 „	„	თათრის მოედანი.
„	6 და 7 „	„	ავლაბარი, ნუნუფაროვის ბაზარი.
„	8 და 9 „	„	ელისაბედის № 10.
„	10, 11 და 12	„	ჩერქეზიშვილის № 8.

№ 43. 3—1.

ტფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

აცხადებს,

რომ ვერის ბორანზე გადასვლის თასი ენკენისთვის 21-დან დაწესებულია

2000 მანეთი

№ 42. 10—1.

მე-2 სახელმწიფო კონსერვატორია

დირექცია მე-2 სახელმწიფო კონსერვატორიისა ამით აცხადებს საყურადღებოთ იმ პირებისა, რომელთაც შემოიტანეს თხოვნა კონსერვატორიაში მიღების შესახებ რომ, მისაღები გამოცდები დანიშნულია: ფორტეპიანოს კლასში 28 და 29 ენკენისთვეს. დილის 10—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდის.

სიმღერის კლასში 30 ენკენისთვეს, დილის 10—3 საათამდის.

სიმებიან ინსტრუმენტების კლასში (სკრიპკა, ვიოლონჩელი) 30 ენკენისთვეს საღამოს (6—8 საათამდის).

ხის და სპილენძის ჩასაბერ ინსტრუმენტების კლასში (არის უფასო ვაკანსიები) 5 ოქტომბერს 5—7 საათამდის.

ოპერის სტუდიაში (პროგრამმა გადიდებულია) 7 ოქტომბერს საღამოს (5—7 საათამდის).

სწავლის ფასი დანიშნულია ორი მილიონი.

შემოტანა ნახევარ წლობით. პირველი შემოტანა სწავლის დაწყებისთანავე.

ყველა ძველ მოწაფეებს ევალებათ 1 ოქტომბრამდე გამოცხადდნენ კონსერვატორიაში და შემოიტანონ სწავლის ფული, წინაღმდეგ შემთხვევაში მათი ადგილი იქნება დაკავებული კანდიდატებით.

2—1.

ტარიფი 1000 საქართვ. უწყ. მწყრ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა კონშენტინის ქუჩა.